



თბილისი, საქართველო – "საერთაშორისო გამჭვირვალობის" საერთაშორისო კვლევის "კორუფციის აღქმის ინდექსის" (CPI) 2008 წლის შედეგებით საქართველომ მაქსიმალური 10 ქულიდან 3.9 ქულა მიიღო და 67-ე ადგილზე გავიდა. სულ კვლევაში 180 ქვეყანა იყო ჩართული.

"კორუფციის აღქმის ინდექსი" ქვეყნების რანგირებას ახდენს იმის მიხედვით, თუ რამდენად გავრცელებულია ამ ქვეყნებში პოლიტიკური კორუფცია. კვლევა ამ ქვეყნების წარმომადგენელი და უცხოელი ბიზნესმენებისა და ანალიტიკოსების მოსაზრებებს ეყრდნობა.

წინა წელთან შედარებით, როცა საქართველოს 180 გამოკითხული ქვეყნიდან 79-ე ადგილი ეკავა და 3.4 ქულა ჰქონდა, წელს მისი მაჩვენებლები გაუმჯობესდა. გაუმჯობესების ტენდენცია ჯერ კიდევ 2004 წელს დაიწყო და ყოველწლიურად საშუალოდ 0.5 ქულიანი ზრდით განისაზღვრა.

"კორუფციის აღქმის ინდექსი" ორი წლის, ამ შემთხვევაში 2007 და 2008 წლების მონაცემებს აერთიანებს. კვლევაში ორი წლის შედეგები იმ მიზნით ჯამდება, რომ მან არა მხოლოდ ერთი წლის, არამედ უფრო გრძელვადიანი სურათი დახატოს. როგორც კვლევის ანალიზი ცხადყოფს, საქართველოს შემთხვევაში 2008 წელს გამოქვეყნებული "კორუფციის აღქმის ინდექსი" უფრო 2007 განხორციელებული ცვლილებებით არის განპირობებული, ვიდრე 2008 წლის ცვლილებებით.

იმისთვის, რომ 2009 წელს საქართველომ კვლავ ზრდისკენ ტენდენცია აჩვენოს და რანგირებაში ადგილი გაიუმჯობესოს, აუცილებელია, რომ ის პრობლემები, რომლებსაც "საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" ჯერ კიდევ გასული წლის "კორუფციის აღქმის ინდექსის" გამოქვეყნებისას გაუსვა ხაზი, ეტაპობრივად გადაიჭრას. მათ შორის იყო:

- (1) საჯარო სამსახურის რეფორმის დაგეგმვა და განხორციელება და ამ პროცესებში დაინტერესებული მხარეების ჩართვა;
- (2) საჯარო მოხელეების ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის შესწავლა უფრო ეფექტიანი და გამჭვირვალე მექანიზმების შემუშავება და დანერგვა;
- (3) კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პრევენციული ზომების გააქტიურება;
- (4) საპროცესო გარიგებების სისტემის დახვეწა და მისი გამჭვირვალობის გაზრდა;
- (5) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული დებულებების განუხრელად დაცვა;
- (6) სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამართვა;
- (7) საბიუჯეტო ხარჯების მიზნობრივად გამოყენების ეფექტიანი ბერკეტების შემუშავება და დანერგვა;
- (8) სასამართლო სისტემის რეფორმირება, რათა მიღწეული იქნას მის მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდა.

მეთოდოლოგია

“კორუფციის აღქმის ინდექსი შეიმუშავა და მას ყოველწლიურად ამზადებს “საერთაშორისო გამჭვირვალობის” სათავო (ბერლინის) ოფისი. ინდექსი ეყრდნობა სხვადასხვა ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს, რომელთა შეჯერებული ანალიზის საფუძველზე დგინდება თითოეული გამოკვლეული ქვეყნისთვის მისანიჭებელი ქულა. წელს საქართველოს ქულის გამოსათვლელად შეჯამდა შემდეგი 7 კვლევის შედეგები:

1. ბერტელსმანის ფონდის “ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსი” (*Bertelsmann Transformation Index*) (2007) რომელიც აფასებს ხელისუფლების უნარს გამოავლინოს და შეზღუდოს კორუფციული ფაქტები;
2. მსოფლიო ბანკის “ქვეყნების პოლიტიკისა და ინსტიტუციური შეფასება” (*Country Policy and Institutional Assessment*) (2007), რომელიც აფასებს კორუფციის დონეს, ინტერესთა კონფლიქტს, საბიუჯეტო თანხების გაფლანგვის შემთხვევებს და ანტიკორუფციული კუთხით გადადგმულ ნაბიჯებსა და მიღწევებს;
3. თავისუფლების სახლის (*Freedom House*) “გარდამავალი ქვეყნები” (*Nations in Transit*) (2008), რომელიც მთავრობაში კორუფციის გავრცელების დონეს ანტიკორუფციული ინიციატივების გავრცელებასთან ერთად, ხალხის აღქმისა და მედიის მიერ ასეთი ფაქტების გაშუქების მიხედვით ზომავს;
4. მსოფლიო ხედავს (*Global insight*) “ქვეყნების რისკ რეიტინგი” (*Country Risk Ratings*) (2008), რომელიც აფასებს საჯარო მოხელეების კორუმპირებულობის სიხშირეს, როგორც მცირე ბიუროკრატიული, ასევე მასშტაბური პოლიტიკური გარიგებების კუთხით.
5. “Merchant International Group’s *Grey Area Dynamics*” ნაცრისფერი სივრცის დინამიკა” ((2007), რომელიც იკვლევს კორუფციის გავრცელების ხარისხს როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირების, ასევე რიგით საჯარო მოხელეებს შორის;
6. მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის “გლობალური კონკურენტუნარიანობის კვლევა” (*Global Competitiveness Report*) (2007), რომელიც ყურადღებას ამახვილებს უკანონო გადასახადებზე და ქრთამებზე დაკავშირებულს მთავრობის სხვადასხვა საქმიანობასთან.
7. აზიის განვითარების ბანკის "ქვეყნების ეფექტიანი მოქმედების შეფასების" რეიტინგი (*Country Performance Assessment*), რომელიც იკვლევს სხვადასხვა ქვეყნებში სიღარიბის დაძლევის, მდგრადი განვითარების და შეღავათიანი დახმარების ეფექტიანი გამოყენების პოლიტიკურ და ინსტიტუციონალურ მექანიზმების არსებობას.